ძნელი მატჩი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 2 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) – 1:0 (0:0).

“დინამო” – პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კილაძე, რამიშვილი, ხასაია, ჭკუასელი, ღოღობერიძე, იამანიძე (ბარქაია), მესხი.

“კრ. სოვეტოვი” – მიგალევი, მაზეპოვი, კარპოვი, მაქსიმოვი, კოლცოვი, ესინი, გუზიკი, ა. კამენევი, ვ.; კამენევი, კირში, რედკინი.

მსაჯი: ს. ალიმოვი (მოსკოვი).

წლევანდელი საფეხბურთო სეზონის დასაწყისი ერთობ უიღბლო აღმოჩნდა თბილისის “დინამოსათვის” ჯერ კიდევ თამაშების დაწყებამდე ტრავმა მიიღო ა. ზაზროშვილმა, გუნდს გამოაკლდა ცენტრალური თავდამსხმელი ზ. კალოევი, მწყობრიდან გამოვიდნენ მეკარე ვ. მარღანია, თავდამსხმელი კ. გაგნიძე, რომელიც საუკეთესო ფორმაში იმყოფებოდა.

განვლილ მატჩში თბილისელები იძულებული იყვნენ კვლავ ახალი შემადგენლობით გამოსულიყვნენ მინდორზე – გუნდში არ იყვნენ ძმები კოტრიკაძეები, გარდა ამისა, თამაშის პროცესში ტრავმა მიიღეს ხასაიამ, ძიაპშპამ, თამაშიდან გავიდა იამანიძე, რომელმაც ფეხის სერიოზული დაზიანება მიიღო. რა თქმა უნდა, ყველაფერმა ამან უარყოფითი დაღი დაამჩნია კოლექტივს, მის საერთო ბრძოლისუნარიანობას.

კუიბიშევის “კრილია სოვეტოვის” თამაშის თავისებურება კარგადაა ცნობილი ყველასათვის. ვოლგელების ძირითად ტაქტიკურ მიზანს წარმოადგენს პირველ ყოვლისა საკუთარი კარის დაცვა, რისთვისაც ორივე ნახევარმცველი უკანაა დაწეული დაახლოებით 15–20 მეტრით, ხოლო მათი სამოქმედო ტერიტორია მინდობილი აქვთ შუამარბებს. ასე რომ, “კრილია სოვეტოვს” თავისი ნახევრის შუაგულში სისტემატურად ჰყავს 4 მოთამაშე, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ არ მისცენ მოწინააღმდეგეს თამაშის გაშლისა და მაღალი ტემპის განვითარების საშუალება. თუ რომელიმე თავდამსხმელმა შეძლო და თავი დააღწია აქ შექმნილ ქაოსს, დაზღვევისათვის ყოველთვის მზად არიან კარპოვი და მაქსიმოვი, რომლებიც დაუყოვნებლივ ებმებიან ბრძოლაში მოსალოდნელი ხიფათის ლიკვიდირებისათვის.

უნდა ითქვას, რომ კუიბიშეველები წარმატებით ახორციელებენ თავიანთ დაცვითს ტაქტიკას. მართალია, ამით დიდად ქვეითდება მატჩის ემოციური მხარე, არ ჩანს თამაშის კლასი, არაა საინტერესო მომენტები, მაგრამ სწორედ ამ ტაქტიკას მოაქვს ხოლმე მათთვის სასურველი ქულები და ამიტომ გუნდი მისი ერთგული რჩება. შედარებით დაბალი ტექნიკის მოთმაშეები ერთმანეთთან დაახლოებისას, ჯგუფურ დაცვაში ავსებენ ამ ხარვეზს.

მთელი პირველი ტაიმი კუიბიშეველთა გეგმის მიხედვით წარიმართა. “დინამოს” თავდამსხმელები ვერ გაცდნენ მათი დაცვის ხაზს, ვერ აიღეს ხელთ ინიციატივა. რამდენიმე ბურთი, რომლებიც აიღო მეკარე მიგალევმა – შორი მანძილიდან იყო კარში დარტყმული. ღოღობერიძე ჩვეულებისამებრ ღრმა ზურგში თამაშობდა და ეს კიდევ უფრო აუფერულებდა თბილისელთა შეტევის ეფექტურობას.

მიუხედავად იმისა, რომ “კრილია სოვეტოვს” წინა პოზიციაზე მხოლოდ გარემარბები და ცენტრალური თავდამსხმელი ჰყავდათ დატოვებული, მათ რამდენჯერმე შექმნეს სახიფათო მომენტი და კ. კამენევმა ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი კარს. განსაკუთრებით საშიში იყო გუზიკი, რომელიც სწრაფად გადიოდა მარჯვენა ფრთაზე და ზუსტად აწოდებდა ცენტრში გასულ პარტნიორებს. მაგრამ აქ შეუცდომლად თამაშობდა “დინამოს” დაცვის ცენტრი ძიაპშპა.

სურათი შეიცვალა მხოლოდ მეორე ტაიმში, როცა ღოღობერიძემ წინ გადაინაცვლა და განტვირთა მინდვრის შუაგული. დინამოელებმა მეტი სიმწვავე შეიტანეს შეტევაში, მეტი ენერგიით ამოქმედდნენ ფლანგები და სტუმართა მცველები იძულებული გახდნენ გაშლილიყვნენ მინდვრის მთელ სიგანეზე. სულ უფრო და უფრო ხშირად ებმებოდა თამაშში მიგალევი.

შედეგი მაინც არ ჩანდა დიდი ხნის განმავლობაში. “დინამოს” ნახევარმცველებს არ ჰქონდათ სათანადო ურთიერთობა თავდამსხმელებთან, რაც არ იძლეოდა ხანგრძლივი იერიშების წარმართვის საშუალებას.

31–ე წუთზე ბარქაიამ გადაინაცვლა მარჯვენა შუამარბის ზონაში და დაბალი ბურთი ჩააწოდა კარის წინ. მაზეპოვი და კარპოვი წამით შეფერხდნენ, რაც დაუყოვნებლივ იქნა გამოყენებული ღოღობერიძის მიერ. მან ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა ბურთი ვოლგელთა კარში – 1:0.

ეს გოლი ერთადერთ აღმოჩნდა ამ მატჩში, თუმცა დარჩენილი 14 წუთის მანძილზე თამაში შესამჩნევად გამოცოცხლდა – “ყრუ დაცვის” ტაქტიკას “კრილია სოვეტოვისათვის” უკვე არავითარი აზრი არა ჰქონდა და შუამარბები მაშინვე წინ იქნენ გაგზავნილი შეტევის გასაძლიერებლად, მაგრამ გოლის გატანა მათ ვერ შეძლეს.

თბილისის “დინამომ” მინიმალური ანგარიშით მოიგო ეს მეტად ძნელი მატჩი.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 1:1.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 5 მაისი, 1957 წ.